ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ზაალ მამალაძეს

მუნიციპლიტეტის გამგებლის ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს საფუძველზე მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეიმუშავა დადგენილების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“. ნორმატიული აქტის პროექტის მომზადება განპირობებულია არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის საკითხების სპეციფიკით, მოცულობითა და სამშენებლო სამუშაოების დაგეგმვის პროცესში მისი განსაკუთრებული მნიშვნელობით. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია არქიტექტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური ჩამოყალიბდეს ცალკე სტრუქტურულ ერთეულად.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის გამგებელი.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი ბექა შენგელია.

მუნიციპალიტეტის გამგებლი: ირაკლი კუჭავა

დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ - დადგენილების პროექტის თაობაზე

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის გამგეობის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”- დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ბ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებაა გამგეობისა და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცება. ამავე კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამგებლის უფლებამოსილებას განეკუთვნება საკრებულოსათვის სტრუქტურული ერთეულების დებულებების წარდგენა.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების
სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებისა და ექსპერტიზის
საკითხებში წამყვანი სპეციალისტი: ნინო ვაჩეიშვილი